წინასწარიუგილეო დღეთა მძლავრი მაჯისცემა

საბჭოთა საქართველო
დღესასწაულის წინ

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 მაისი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 106 (15016)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი ოცდამეექვსედ აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სხვა მოძმე ეროვნების შვილებთან ერთად თავდადებით იბრძოდა საბჭოთა საქართველოს შვიდასი ათასი ვაჟკაცი. მათგან სამასი ათასმა სიცოცხლე შესწირა საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას.

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მათი უკვდავი გმიროზის ნათელიც ადგას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1971-1975 წლებში მიწების მელიორაციის შემდგომი განვითარებისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვეყანაში წარმოებს მიწების მელიორაციის დიდი სამუშაოები, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის აღმავლობას და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მელიორირებულ მიწებზე, მნიშვნელოვნად გადიდდა ბამბის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ძირხვენებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო მოსავალი.

ამასთანავე სამელიორაციო სამუშაოთა ტემპები ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, სარწყავი და ამოშრობილი მიწებს გამოყენებაში კი არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამელიორაციო სამუშაოთა ტემპების მნიშვნელოვანი დაჩქარებისა და მიწების მელიორაციის ტექნიკური დონის და ეკონომიური ეფექტიანობის აწინდელის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს

აღმოფხვრან მიწების მელიორაციაში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სარწყავი და ამოშრობილი მიწების სრულად და ეფექტიანად გამოყენება; განახორციელონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა თვითეულ ჰექტარ მელიორირებულ მიწაზე მოიყვანონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი; მნიშვნელოვნად აამაღლონ სამელიორაციო სისტემათა ტექნიკური დონე, წყალსამეურნეო სამუშაოთა ხარისხი და შეამცირონ მათი ღირებულება;

1971-1975 წლებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადასცენ 3 მილიონი ჰექტარი სარწყავი მიწები (ლიმანური რწყვის ჩათვლით) და აუშენონ სამელიორაციო სისტემები ჭარბტენიან რაიონებში (მათ შორის აღადგინონ ამოსაშრობი სისტემები) 5 მილიონ ჰექტარზე, აქედან დახურული დრენაჟით 3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, აგრეთვე განახორციელონ კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები 9,5 მილიონ ჰექტარ მიწებზე, რომლებიც ამოშრობას არ საჭიროებენ, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობათა ინიციატივას მიწების რწყვასა და ამოშრობაში და საკუთარი სახსრებით სხვა სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებაში, ყოველნაირად დაეხმარონ მათ ამ საქმეში;

მარცვლეულის წარმოება 1975 წელს სარწყავ მიწებზე აიყვანონ 10-12 მილიონ ტონამდე (ბრინჯის ჩათვლით). მნიშვნელოვნად დაჩქარონ კახოკის სარწყავი სისტემის, ჩრდილოეთ ყირიმის, სტავროპოლის დიდი არხისა და სარატოვის არხის, მარჯვენა ეგორლიკის, კუბიშევისა და სხვა სარწყავი სისტემების მშენებლობის ტემპები, აგრეთვე დაიწყონ ახალი წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა, რათა უზრუნველყონ მიწის დიდი მასივების მორწყვა და ამ საფუძველზე შექმნან ჩვენი ქვეყნის გვალვიან ზონაში მარცვლეულის გარანტირებული წარმოების დიდი რაიონები;

ბრინჯის წარმოება 1975 წელს აიყვანონ 2 მილიონ ტონამდე. ამ მიზნით დაამთავრონ კრასნოდარის წყალსაცავის მშენებლობა, განავითარონ ბრინჯის სათესი მიწების მორწყვა ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, შორეულ აღმოსავლეთში, დაღესტნის ასს რესპუბლიკაში, როსტოვის ოლქსა და მდინარე ვოლგის ქვემო წელში;

ძირითადად 1976 წლისათვის დაამთავრონ საჭირო საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის მშენებლობა ბამბის თესვის ზონაში და მოქმედი სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფის გადიდების სამუშაოები. დაამთავრონ 1971-1975 წლებში მიწების რწყვა და ათვისება მშიერ და შირაბადის ველებში და იალან-ობიკიკის ხეობაში, დაამთავრონ ტახიატაშის მიდროკვანძის, ანდიჯანის წყალსაცავის, ნამანგანისა და ამუბუხარის არხების მშენებლობა, აგრეთვე უზრუნველყონ მიწების რწყვის შემდგომი განვითარება ყარაყუმის არხის ზონაში და დაჩქარონ სამუშაოთა ტემპები კარშის ველზე და სხვა ობიექტებზე;

დაჩქარონ მიწების ამოშრობის, კულტურულ-ტექნიკურ და სხვა სამუშაოთა ტემპები, განსაკუთრებით რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიან ოლქებში, შორეულ აღმოსავლეთსა და პოლესიეს დაბლობში; გაჩაღონ მიწების მელიორაციის სამუშაოები იმიერურალში. შექმნან ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში კულტურული ხეძოვრები და გაუმჯობესებული სათიბი ხავარგულები;

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მისალმებები

ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა, ნ. პოდგორნიმ და ა. კოსიგინმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალე მიულოცეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებსა და რესპუბლიკის ყველა მშრომელთ ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების ოცდამეექვსე წლისთავი.

რომინეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძმური მისალმება გაუგზავნა რუმინეთის ყველა კომუნისტსა და მშრომელს. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა მ. შუმანს

7 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** ესაუბრა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს **მ. შუმანს.** საუბარში მონაწილეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო.**

საუბრის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს და ზოგიერთ სხვა საკითხს. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ცნობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მორის შუმანის სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ

1971 წლის 4-7 მაისს, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1970 წლის 13 ოქტომბრის ოქმის შესაბამისად, საბჭოთა მთავრობის მოწვევით სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შუმანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა მ. შუმანს. მ. შუმანს ესაუბრა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და მ. შუმანს შორის.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს განიხილეს ძირითადი საერთაშორისო პრობლემები. საბჭოთა მხარემ საფრანგეთის ყურადღება მიაპყრო საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებათა პროგრამას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს წამოაყენა საბჭოთა კავშირმა. დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის საქმეებს, კერძოდ საკითხებს, რომლებიც აღძრა მიმდინარე ოთხმხრივმა მოლაპარაკებამ, აგრეთვე სრულიად ევროპის თანხმობის მომზადების აქტივიზაციის ღონისძიებებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევას, განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის ვითარებას.

მოლაპარაკების მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ვითარებაში და გამსჭვალული იყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის იმ დოკუმენტების სულისკვეთებით, რომლებიც მიღებულია 1966 წლის აქეთ და განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის საფუძვლებს.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას ყველა დარგში. კერძოდ, განიხილეს ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომლებიც საკავშირო-ეკონომიურ ურთიერთობას შეეხება.

მიღწეულია შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიწვევის პასუხად საბჭოთა ვიზიტი საფრანგეთში გაიმართება ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აბჯარის ასს რესპუბლიკისაგან ხელვაჩაურის № 499 საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:** „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 108-ე მუხლის შესაბამისად აბჯარის ასს რესპუბლიკისაგან ხელვაჩაურის № 499 საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1971 წლის 18 ივნისს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 7 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება მიენიჭათ და გადაეცათ **ლენინის** ორდენი და ოქროს medaლი **„ნამგალი და უროს“** ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო-სატრანსპორტო და საბინაო მშენებლობის, სამონტაჟო სამუშაოთა და კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მანძულაშვილს ვარდენ დავითის-ძეს — „კასპის ცემენტის ქარხნის ფურცელსაყალიბო მანქანის მეთანჭანეს.

ჭობონელიძეს გრიგოლ ნიკოლოზის-ძეს — „ჭიათურმარგანეცმშენის“ № 8 ტრესტის „ჭიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხეროთა ბრიგადირს.

პარტიისა და ხალხის ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია

ხაოლქო წინასაარჩევნო თათბირები

საქართველოში მიმდინარეობს საოლქო წინასაარჩევნო თათბირები. მათი მონაწილენი სავსებით უჭერენ მხარს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე დასახელებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, მოუწოდებენ ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბloკის კანდიდატებს და ამით ხმა მისცენ საბჭოთა საქართველოს შემდგომ აყვავებას, მისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობაში გაიმართა ქალაქ თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დ. მეგელიძემ.

სიტყვას ამბობს თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორი ო. ჯაფარიძე. მან განაცხადა, რომ წინასაარჩევნო კრებებზე ქალაქ თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქის მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამ საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბორის 	სლოლის-ძე ფურთეელი. ყველა ჩვენგანი, თქვა მან, ა. ნ. კოსიგინს იცნობს როგორც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე იგი მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ახმარს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეს. აკადემიკოსი გ. ვ. ფურთეელი კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევების ავტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

ორატორმა მოუწოდა ოლქის ყველა ამომრჩეველს მხარი დაუჭირონ ა. ნ. კოსიგინსა და გ. ვ. ფურთეელს, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ქალაქ თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი თათბირზე გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. ცქიტიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. კობახიძემ, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის დირექტორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. ხატაგიშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა დაადგინეს: მოიწონონ წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში დასახელონ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი და გ. ვ. ფურთეელი, და სთხოვონ მათ დათანხმდნენ კენჭი იყაროს ამ ოლქში. თათბირმა მიიღო მიმართვა საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველისადმი, აირჩია ნდობით აღჭურვილი პირნი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ააკრ დარბაზი. აქ შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 44 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე. თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ს. ჯორბენაძემ და სიტყვა მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ ა. ციბარელს.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა წინასაარჩევნო კრებამ, — თქვა მან, — გადაწყვიტა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბორის ბორის სამსონის-ძე ძოწენიძე. ორატორმა ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, იმ წვლილზე, რომელიც შეაქვს მას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საკითხების წარმატებით გადაჭრის საქმეში. მოუწოდა ოლქის ამომრჩეველებს ხმა მისცენ გ. ს. ძოწენიძეს.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგემ პროფესორმა შ. ძიძიგურამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგემ პროფესორმა ნ. სხირტლაძემ, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თ. ბაღსოლიანმა.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილებანი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში დასახელონ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი და გ. ვ. ფურთეელი, და სთხოვონ მათ დათანხმდნენ კენჭი იყაროს ამ ოლქში. თათბირმა მიიღო მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩეველისადმი და აირჩია ნდობით აღჭურვილი პირნი. (საკდესი).

ბრძანება
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა
1971 წლის 9 მაისი ქ. მოსკოვი № 92

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგენო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

არმიისა და ფლოტის ვეტერანებო, დიდი სამამულო ომის მონაწილენო!

დღეს საბჭოთა ხალხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი დღესასწაულობენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 26-ე წლისთავს.

წელს გამარჯვების დღე აღინიშნება საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის უდიდესი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ყრილობამ შეაჯამა პარტიისა და ხალხის მუშაობის უკანასკნელი წლების შედეგები, შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის პოლიტიკური გეზი და საბრძოლო პროგრამა.

არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად უჭერს მხარს და მხურვალედ იწონებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

დიდი სამამულო ომი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სიმკვიდრის მკაცრი გამოცდა იყო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიარაღებული ძალების მამაცმა მეომრებმა, ზურგის გმრმა მშრომელებმა, უშიშარმა პარტიზანებმა — ყველა საბჭოთა ადამიანმა ცხადყვეს ურყევი სიმტკიცე და ვაჟკაცობა, დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული გერმანიაზე ისტორიულ გამარჯვებაში.

გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ მეორე მსოფლიო ომში ხელი შეუწყო სოციალისტურ რევოლუციათა გამარჯვებას ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევას. მშრომელთა კლასის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას კაპიტალისტურ ქვეყნებში და საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად შეაჯაყა იმპერიალიზმის პოზიციები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც თავიანთი ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავენ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ადგანან ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, იბრძვიან სოციალისტური თანაშეგობრობის განმტკიცებისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის.

მაგრამ რეაქციული წრეები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, უგულებელყოფენ რა ისტორიის გაკვეთილებს, ხელს უშლიან მშვიდობის განმტკიცებას. მათ გაიჩაღეს ფართო საომარი მზადება, მიმართავენ ავიაზაკურ მოქმედებას ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა წინააღმდეგ, აქეზებენ აგრესიას ახლო აღმოსავლეთში, ცდილობენ ხელი შეუშალონ ევროპაში დაძაბულობის შენელებას.

იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის პირობებში საბჭოთა მეომრებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცების შესახებ, კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა იშრომონ საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის, ბეჯითად დაეუფლონ მინდობილ ტექნიკასა და იარაღს, დაუცხრომლად აიმაღლონ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, განამტკიცონ დისციპლინა, ფხიზლად დაიცვან საყვარელი სამშობლოს საზღვრები.

მიეესალმები და ვულოცავ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას, დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილეს გამარჯვების დღესასწაულს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 26-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 9 მაისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში მურმანსკში, სმოლენსკში, ნოვოსიბირსკში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში მიცემულ იქნას სალუტი ოცდათი საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ლენინური კურსით კომუნიზმისაკენ!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
სსრ კავშირის მარშალი ა. გრეჩკო

წინასაიუბილეო დღეთა
მძლავრი მაჯისცემა

დღესასწაულის აღსანიშნავად

ბათუმი. 7 მაისს დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ბათუმის გარნიზონის მეომრების წარმომადგენლები.

საიუბილეო სხდომა გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო.

სიტყვა აიღო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ. მან გულთბილად მიულოცა აჭარის მშრომელებს იუბილე და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. დ. თხილაიშვილსა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. ი. კოპლატაძეს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო საიუბილეო დროში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბ. ბ. ბეჟანიშვილის, ბ. ბ. ბაბალიანის, ბ. ბ. ბერიკაშვილის, ბ. ბ. ბ.

ხალხის რჩეულნი

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მეთამბაქოე **ლამარა ვალიკოს ასული კვიტატიანი** სოხუმის რაიონის № 346 ემერის საარჩევნო ოლქში თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში დასახელეს ამ კოლმეურნეობის წევრებმა.

სოხუმის რაიონის სოფელ კულასურის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის რაიონის № 348 ბესლეთის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **ვლადიმერ კუზმას-ძე ანდრიუშჩენკო.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გულრიფშის რაიონის № 351 გულრიფშის საარჩევნო ოლქში სოფელ გულრიფშის კროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დაასახელეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **სვეტლანა სარჭისის ასული გრიგორიანი.**

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **ხუხუტი ჯაგას-ძე შონია** ამ კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს გალის რაიონის № 362 ოქუმის საარჩევნო ოლქში.

თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „მეტროპოლიტენის“ სამმართველოს კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისი № 13 ბენდელიანის საარჩევნო ოლქში დასახელა ამ სამმართველოს უფროსი **ნოდარ დავითის-ძე ბერიძე.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **აკაკი გაბრიელის-ძე შანიძე** დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 51 დელისის საარჩევნო ოლქში № 18 სამშენებლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დასახელეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე **ნათელა ხაჩიკის ასული აბრამოვა** ქალაქ თბილისის № 26 ტოლსტოის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ თბილისის № 64 ვარკეთილის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს ხომალდის მეთაური **ემზარ ჭრიხტეფორეს-ძე ჩაჩავა.** მისი კანდიდატურა დაასახელეს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს თბილისის გაერთიანებული ავიასაწარმოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 66 ისნის საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მკერავი **ნინო იაგორის ასული დუბკოვა.**

გორის რაიონის სოფელ კარბის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად გორის რაიონის № 89 ტყვიავის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კოლმეურნეობის წევრი **ანდრია შალვას-ძე მისირელი.**

გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა გორის რაიონის № 91 შინდისის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ მეურნეობის მოწინავე მებაღე **ნაზო ნიკოლოზის-ძე შალფაშვილი.**

გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად გორის რაიონის № 92 ხიდისთავის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ოთარ ვასილის-ძე თაქთაქიშვილი.**

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ შებოსტნე **ქეთევან სარდიონის ასული ბარათაშვილი** ამ კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე დაასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაშურის რაიონის № 106 ალის საარჩევნო ოლქში.

ახალციხის რაიონის სოფელ შუახოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის რაიონის № 110 ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელა კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი **ელენე შაქროს ასული ჭურდაძე.**

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

წალკის რაიონის თრიალეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის რაიონის № 134 ბეღიანის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი **ლუსიკ გარეგინის ასული მელთონიანი.**

მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 141 ქვეშის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კომბინატის გამამდიდრებელი ფაბრიკის ფლოტატორი **ედვარდ ბესარიონის-ძე გურჯიშვილი.**

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის რაიონის № 179 ტიბაანის საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ მეურნეობის მოწინავე მევენახე **მარიამ ნიკოლოზის ასული მამაიაშვილი.**

თერჯოლის რაიონის № 227 ჭოგნარის საარჩევნო ოლქში სოფელ გოდოგნის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი **შურა გრიგოლის ასული ქიკვიძე.**

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა კრებაზე ქალაქ ქუთაისის № 236 ლენინის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძე.**

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი **ზაირა დანიელის ასული ჯიბლაძე** ამ საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 240 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში.

სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სამტრედიის რაიონის № 268 საჯავახოს საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე მებოსტნე **გოგუცა ლუკას ასული გაგუა.**

გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე** მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე მებოსტნე **ლამარა გვანჯის ასული მანია.**

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის მეჩაიე **თინა ანდრიას ასული ბერულავა** ამ კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე დაასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის რაიონის № 274 დიმის საარჩევნო ოლქში.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა საერთო კრებაზე თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის პარლამენტში დასახელეს ამ მეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ციალა ბესარიონის ასული ჩიგოგიძე.** ჩოხატაურის რაიონის № 276 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში.

მახარაძის რაიონის № 286 ნასაკირალის საარჩევნო ოლქში სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრებმა დაასახელეს კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **თამარ ნიკიფორეს ასული ახალაძე.**

სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ზინა კირილეს ასული ტყემუჩავა** ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 240 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში.

ენგურის ელეფენტა-ქალაქადის კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ზუგდიდის № 303 კიროვის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კომბინატის მბეჭდავი **ლამარა გვანჯის ასული მანია.**

ზუგდიდის რაიონის სოფელ ალაბატის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაგრის რაიონის № 337 გაგრის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კოლმეურნეობის კოლმეურნე **თინა ლეონტის ასული ფუტკარაძე.**

გაგრის რაიონის სოფელ ხეიბნის კოლმეურნეობა „ხეიბნის“ მეთამბაქოე **თამარ იასონის ასული წულაია** ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაგრის რაიონის № 338 ბაღნარის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 369 გორკის საარჩევნო ოლქში დასახელა მოტორისტი მკერავი **ციალა ტარასის ასული გახვდავა.**

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 373 საქარხნო საარჩევნო ოლქში დასახელა ამ ქარხნის უფროსი ოპერატორი **კარლო ვლადიმერის-ძე მოდებაძე.**

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხელვაჩაურის რაიონის № 380 ჩაისუბნის საარჩევნო ოლქში დასახელა ამ კოლმეურნეობის მეჩაიე **ფერიჯე ბუსეინის ასული ჯინჯარაძე.**

ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გერასიმ ივანეს-ძე ბესაევი** თამარაშენის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის რაიონის № 393 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქში.

ქარელის რაიონის დაბა ქარელის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქარელის რაიონის № 97 ქარელის საარჩევნო ოლქში დასახელეს ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი **შოთა ესტატეს-ძე გაგოშიძე.**

ახალციხის რაიონის წყალსაბინის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის სოფელ დიდი ჰოჰის ავრორუბნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის რაიონის № 114 წყალსაბინის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ მეურნეობის მოწინავე მწველავი **როზა შაინის ასული ავაქიანი.**

აბასთუმნის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მერი ალექსის ასული ჩერქეზიშვილი** აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის რაიონის № 306 რუხის საარჩევნო ოლქში.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **თინა გიორგის ასული მოლაშხია** სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წალენჯიხის რაიონის № 311 ჯგალის საარჩევნო ოლქში.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვალერიან თევდორეს-ძე თოდუა** ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე თანასოფლელებმა დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გეგეჭკორის რაიონის № 317 დიდი ჟეონის საარჩევნო ოლქში.

სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 331 ვაგზლისპირა საარჩევნო ოლქში დასახელეს საქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი **ელენე აპოლონის ასული გოგრიჭიანი.**

ტყვარჩელის მეშახტეებმა თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ქალაქ ტყვარჩელის № 335 აკარმარის საარჩევნო ოლქში დასახელეს „საქართველოს“ კომბინატის ტყვარჩელის ლენინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანი **გიორგი ლევარსანის-ძე ბუანია.** მისი კანდიდატურა დასახელეს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის საერთო კრებაზე.

გაგრის რაიონის სოფელ ალაბატის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაგრის რაიონის № 337 გაგრის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ კოლმეურნეობის კოლმეურნე **თინა ლეონტის ასული ფუტკარაძე.**

ოზურგეთის რაიონის სოფელ ალიბეგიანის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ბოთა ლავრენტეს-ძე ბათირაშვილი** ამ კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი **გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილი.**

სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წითელწყაროს რაიონის № 183 ზემო ქედის საარჩევნო ოლქში დასახელეა ამ კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **იოსეფ თომას-ძე ბუბუნაური.**

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ იგორეთის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ ორჯონიკიძის რაიონის № 206 კიღის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაღდათის რაიონის № 340 ბზიფის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ მეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე.

სოფელ აზანდარის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ამ მეურნეობის მშრომელებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გუდაუთის რაიონის № 344 აჭანდარის საარჩევნო ოლქში დასახელეს კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **თინა რაჟდენის ასული ჯენია.**

სოფელ აჩადარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ზოია ლავრენტეს-ძე ბათირაშვილი** ამ კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ეურნალ „დროშის“ რედაქტორი **გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილი.**

სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სოხუმის რაიონის № 347 გუმისთის საარჩევნო ოლქში.

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ გულრიფშის რაიონის № 349 მერხეულის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **თამარ არტემის ასულ ლიპარტიანს** კანდიდატურა.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი **მიხეილ დანიელის-ძე დავთაშვილი** სოფელ ჭგერდის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ოჩამჩირის რაიონის № 355 ტამიშის საარჩევნო ოლქში.

ოჩამჩირის ზეთის საექსტრაქციო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თავიანთ წარმომადგენლად ოჩამჩირის რაიონის № 358 ოჩამჩირის საარჩევნო ოლქში დასახელეა ამ საწარმოს მოწინავე მუშა **ლილი არტემის ასული ჩხოტუა.**

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ოჩამჩირის რაიონის № 359** ფოქვეშის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ მეურნეობის მოწინავე მეჩაიე **მარიამ გაჯოს ასული ბერულავა.**

გალის რაიონის მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა **იური უშას-ძე ჯგერენაია** მზიურის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა გალის რაიონის № 363 ბარლების საარჩევნო ოლქში.

ქედის რაიონის სოფელ ხარაულის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქედის რაიონის № 385 ცხმორისის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ მეურნეობის მეთამბაქოე **ნანული დურსუნის ასული ტაკიძე.**

ჭვანის საუბანთშორისო საავადმყოფოს ინფექციონისტ-თერაპევტი **ლილი ახმედის ასული ხოზრევანიძე** ამ საავადმყოფოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა შუახევის რაიონის № 386 შუახევის საარჩევნო ოლქში.

სოფელ გოგინაურის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ შუახევის რაიონის № 387 დღვანის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დასახელა მეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **ხაჯერ შაქირის ასული გოგიტიძე.**

ხულოს რაიონის სოფელ თაგოს კოლმეურნეობის ბრიგადირი **მემედ მურადის-ძე ციცხლაძე** ამ კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ხულოს რაიონის № 389 ხულოს საარჩევნო ოლქში.

ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის კოლმეურნეობის წევრებმა ხულოს რაიონის № 390 დიოკნისის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. ხულოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლევან ომერის-ძე რიფვაძე.** (საქდისი).

დიადი გამარჯვება

ს. კურკოტკინი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

უოველ ხალხის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც ღრმა, წარუშლელ კვალს ტოვებენ მის ისტორიაში. ასეთ მოვლენებს სამართლიანად განეკუთვნება საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

ოცდაექვსი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რაც დამთავრდა ეს ომი. რა თქმა უნდა, მცირე ხანი როდია. მაგრამ რაც უფრო გვშორდება ეს მრისხანე დღეები, მით უფრო დიდებულად ესახება მსოფლიოს საბჭოთა ხალხის უჭკნობი გმირობა.

ჩვენთვის გამარჯვების დღე ღირსსახსოვარია იმითაც, რომ მას ვზეიმობთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვანი 50 წლისთავის წინ.

ცნობილია, რომ ომს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალები ამზადებდნენ. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მონოპოლიები თავიანთი კაპიტალებით ხელს უწყობდნენ ფაშისტური გერმანიის სამხედრო და ეკონომიური პოტენციალის აღორძინებას. ამ ქვეყნების მმართველი წრეები ეხმარებოდნენ ნურემბერგთან ბიტლერული აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია ითვალისწინებდა იმპერიალისტებთან სამარი შეტაკების შესაძლებლობას და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მოემზადებინა ქვეყანა თავდაცვისათვის. მაგრამ დროის შეზღუდულობის გამო ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განუხორციელებელი დარჩა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს რომ იწყებდნენ, ფაშისტი მესვეურნი გეგმავდნენ ფიზიკურად მოესპოთ ათეულ მილიონობით ადამიანი, დაეუფლებინათ ჩვენი საშობლო და გადაექციათ იგი გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიად.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყენეს ბიტლერული გერმანიის თითქმის მთელი მოქმედი სახელმეთო არმია, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მრავალრიცხოვანი ძალები.

გამოიყენეს რა მოულოდნელობის ფაქტორი და ძალთა მნიშვნელოვანი უპირატესობა, გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა პირველსავე დღეებში ხელთ იგდეს სტრატეგიური ინიციატივა და სწრაფად მოიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ. 1941 წლის შემოდგომისათვის მათ დაიპყრეს საბჭოთა კავშირის ვრცელი ტერიტორია, დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მძიმე თავდაცვითს ბრძოლებს რომ აწარმოებდა, საბჭოთა არმია იძულებული იყო უკან დაეხია.

ფრონტებსა და ზურგის მეცადინეობის გაერთიანების მიზნით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით, რომელიც ამავე დროს უმაღლესი მთავარსარდალიც იყო. პარტიამ ქვეყანა გადაამქცია ერთიან საბრძოლო ბანაკად, ხალხს ჩაუნერგა ჩვენი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენა.

დიდი სამამულო ომის დასაწყისი პერიოდის გადამწყვეტი მოვლენა იყო ისტორიული ბრძოლა მოსკოვთან, რომელმაც ექვს თვეზე მეტ ხანს გასტანა.

გაფთრებული ბრძოლების შედეგად მტერი განადგურდა და 250-360 კილომეტრზე განიდევნა. ბიტლერელთა ჯარები მთელ ფრონტზე იძულებული იყვნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ, რომელიც რევანშს ესწრაფოდა, ისაბოტაჟებლა იმით, რომ არ იყო მეორე ფრონტი და 1942 წლის ზაფხულში დაიწყო ახალი დიდი შეტევა.

დაიწყო ისტორიაში უმაგალითო სტალინგრადის ბრძოლა. ჭეშმარიტად უდიდესი სულიერი ძალა და ურყევი ნებისყოფა, ვაჟკაცობა და გულადობა, არნახული მამაცობა და რკინის დისციპლინა გამოავლინეს სტალინგრადის სახელოვანმა დამცველებმა.

ისტორიაში არნახული ბრძოლა დამთავრდა იმით, რომ ალყა შემოარტყეს და მთლიანად შემუსრეს მტრის დაჯგუფებანი, რომლებშიც 22 დივიზია იყო.

გერმანიის ფაშიზმის წინაშე აღიმართა გარდუვალი დამარცხების მრისხანე აჩრდილი.

სტალინგრადის ეპოპეასთან ერთად დაიწყო ბრძოლა კავკასიისათვის.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტთან ურთიერთქმედებით მძიმე გაფთრებულ ბრძოლებში შეაჩერეს დამპყრობლები კავკასიონის დიდი ქედის მთისწინეთსა და უღელტეხილებზე, ხოლო შემდეგ გადავიდნენ შეტევაზე, შემუსრეს და განდევნეს ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიიდან.

უმაგალითო გმირობა ჩაიდინა მალგობეკთან „კვ“ მძიმე ტანკების ასეულის მეთაურმა ვ. ი. პეტროვმა. სულ 4 ტანკით იგი შეება ბიტლერელთა 60 ტანკს და მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 35 მანქანა. პირადად პეტროვმა გაანადგურა 14 ტანკი.

კაპიტან ვ. ა. ემორიოს ავიაგამანადგურებელთა პოლკმა, რომელსაც დაღესტნის პატრის ჯგიტი დაარქვეს, კავკასიისათვის ბრძოლებში ჩამოაგდო მტრის 43 თვითმფრინავი.

ვაჟკაცურად ანადგურებდა მტერს უფროსი ლეიტენანტის ა. ზ. პირმისაშვილის არტილერისტთა დივიზიონი.

მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის ამიერკავკასიის ფრონტის 92 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. ათასობით კაცი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

კავკასიისათვის ბრძოლის დროს მკაცრ გამოცდას გაუძლო ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა მეგობრობამ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან. ერთიან მწყობრში ისინი აღსდგნენ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში იქმნებოდა რეზერვები ფრონტისათვის, იქედებოდა იარაღი, აქედან უწყვეტ ნაკადად მიდიოდა სურსათი და საჭურველი.

მარტო საქართველომ ფრონტზე გაგზავნა 700 ათასი კაცი.

აქედან რამდენიმე ათასმა გმირობისა და მამაცობისათვის მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა, ხოლო 136 გახდა საბჭოთა კავშირის გმირი.

თავიანთი გმირობით სამუდამოდ შეეგიდნენ დიდი სამამულო ომის ისტორიაში სერჟანტი მ. ქანთარია, რომელმაც სერჟანტ მ. ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე, ზემდეგი ნ. ადამია, მაიორი ა. წურწუმია, ზემდეგი ნ. გოგიჩაიშვილი, პოლკოვნიკი ვ. კანკავა, პოდპოლკოვნიკი ნ. იუფეროვი, უფროსი ლეიტენანტი ვ. პოპკოვი, ზემდეგი რ. ბარციცი, ლეიტენანტი ვ. ჩოჩიევი, კაპიტანი კ. ხოჯიევი, კაპიტანი ი. ჯინჭარაძე, მაიორი ჟ. ბენდელიანი, რიგითი ჯარისკაცი მ. მაისურაძე, სერჟანტები შ. გამცემლიძე და ლ. ავალიანი, კაპიტანი მ. ბუხაიძე, გულადი პარტიზანები პ. გვალია, ტ. ტალახაძე, მამაცი კომკავშვილელი, ყირიმის იატაკქვეშეთის მონაწილე ზ. რუხაძე, სანინსტრუქტორი თ. იოსებიძე და საქართველოს ბევრი სხვა სახელოვანი შვილი.

სამამულო ომის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა ბრძოლა კურსკის რკალზე. გიგანტურ ორთაბრძოლაში გერმანიის არმიამ განიცადა გამანადგურებელი დამარცხება. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ძირეული გარდატეხა მოახდინა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში და საშუალება მისცა საბჭოთა სარდლობას გრანდიოზული შეტევა გაეჩაღებინა მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა არმიამ გაანადგურა ჰიტლერელთა ბერლინის დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში დაახლოებით მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი შედიოდა. საბრძოლო მოქმედება, რომელიც გაჩაღდა ბერლინთან და თვით მესამე რაიხის დედაქალაქში, ზეორე მსოფლიო ომის უდიდეს ბრძოლად გადაიქცა.

ძნელი იყო საბჭოთა ხალხისა და მისი მეომრების გამარჯვების გზა. ეს გამარჯვება მათ სასტიკ ბრძოლებში მოიპოვეს. ეს გზა სამშობლოს ათასობით ერთგული შვილის სისხლითაა მორწყული.

ფრონტელთა უმაგალითო გმირობაზე გულთბილად და ამაღელვებლად ითქვა პარტიის XXIV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

„როცა სახელოვან საბჭოთა არმიაზე ვლაპარაკობთ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ ჩვენი ფრონტელები, ის ჯარისკაცები და მეთაურები, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება.

ომის წლების კოლოსალური დაძაბულობის შემდეგ დასვენებაც ვერ მოსწერეს: ფრონტელები კვლავ ფრონტზე აღმოჩნდნენ — შრომის ფრონტზე. ბევრი ფრონტელი ამხანაგი ჩვენთან აღარ არის, მაგრამ მილიონნი ჯერ კიდევ მწყობრში დგანან. ზოგი განგრძობს სამსახურს არმიაში, ზოგიც სამშობლოს ახმარს თავის ცოდნასა და შრომას ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და სკოლებში“.

ამ ომში გაიმარჯვეს საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ, მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევმა კავშირმა, საბჭოთა ხალხების მეგობრობამ, ფრონტისა და ზ

ისიბი სამშობლოსთვის იბრძოლენ

ბოდლიერ მთებს თითქოს ცოცხალი დაუბრუნდა ომისაგან გარუჯული ვაჟკაცი, საბჭოთა არმიის ოფიცერი სიმონ ალექსანდრეს-ძე წიკლაური, მ. ნემიროვას და ე. კალანდაძის წიგნმა „ვერმახტის საიდუმლო საქმე", რომელიც 100-ათასიანი ტირაჟით გამოიცა, ნათელი მოჰფინა აქამდე უცნობი ქართველი გმირების სახელებს. სიმონ წიკლაური, შალვა ბაქრაძე, ჟორა ცუცქირიძე, მიხეილ გაბუნია, დიმიტრი ჯიმუხაძე, აკაკი ბაქრაძე, ალექსი ჩოჩიშვილი... ის ვაჟკაცებია, რომლებსაც დავიწყება არ უწერიათ, ისინი ამიერიდან ერის საყვარელი ადამიანები არიან. საყვარელი ხალხისა კი ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. რა თქმა უნდა, „ვერმახტის საიდუმლო საქმის" ავტორებს არ შეეძლოთ თავიანთი წიგნში გადმოეცათ ყველაფერი, რაც მათს გმირებს ეხებათ. მაგალითად, მოთხრობაში არაფერია ნათქვამი სიმონ წიკლაურის ბავშვობისა და სიჭაბუკის შესახებ. ამატომაც ავიდი დიხჩოში, რომელიც შავი არაგვის მარცხენა მხარეს არწივის ბუდესავით მიჰკვრია კლდეს და, სადაც ღარიბი მთიელის ალექსანდრე წიკლაურის ოჯახში 1910 წელს დაიბადა პატარა სიმონი.

ალექსანდრეს ზედმეტ სახელად თორელს ეძახდნენ, ალბათ იმისათვის, რომ შეუდრეკელი და არაჩვეულებრივი ღონის ვაჟკაცი იყო, რომელიც ტოლს არავის უდებდა მკაში, თიბვაში, ნადირობასა და ლხინში.

თორელი ადრე შეუბამთ გლეხკაცურ უღელში. განუწყვეტელი შრომით ოჯახი ფეხზე დაუყენებია, მეუღლეც თავისივეფერი შეხვედრია. ხოფი ჩოხელი გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით და მეოჯახეობით. მოსიყვარულე ცოლ-ქმარს ხუთი შვილი შესძენია — ტასო, სიმონი, მარო, ივანე და ნინო.

გავიდა დრო. აღარ არიან ამ ქვეყანაზე სიმონის მშობლები, რომელთა დარდი იყო ომში წასული შვილების ბედი და იღბალი. სანამ ძალა ეღირა ჰქონდა, თორელი ვაჟკაცურად იტანდა ომისაგან გამოწვეულ სიძნელეებს, დაუღალავად შრომობდა, თვითონ კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე და სოფლის თავკაცი ვერ იტანდა, თუ ვინმე საძმო საქმის ღალატს შეეცდებოდა, თუმცა ასეთები მთაში ცოტანი იყვნენ. ომის მძიმე განსაცდელის ჟამს გუდამაყრელებმა თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საისტორიო საქმეში. მათ შორის იყვნენ თორელ წიკლაურის ოჯახის წევრებიც. სიმონი და ივანე იარაღით ხელში ებრძოდნენ მტერს და თორელი დარწმუნებული იყო, რომ ისინი არ შეარცხვენდნენ წიკლაურიანთ მოდგმას. ასეც იყო, თუმცა მოხუცს გულში დარდი უტრიალებდა, რადგან სიმონის უკანასკნელი წერილი ომის დაწყების მეორე დღეს, უკრაინის ქალაქ ალექსანდროიდან იყო გამოგზავნილი და მას შემდეგ რაიმე უბრალო ცნობაც კი არ ჰქონდათ მშობლებს, ის ბარათი კი კარგა ხანია გაცვდა და გაიცრიცა. საღამოობით, როცა მოხუცები დაღლილ-დაქანცულები მოვიდოდნენ სახლში, აუცილებლად უნდა წაეკითხათ სიმონის წერილი:

საყვარელო მშობლებო! — იწერებოდა წითელი არმიის კადრის ოფიცერი სიმონი, — მომილოცეთ, ვაკაშვილი შემეძინა, მაგის საპატივცემლოდ ალექსანდრეს ვარქმევ.

ამ სიხარულთან ერთად სამწუხარო ამბავსაც გატყობინებთ. უკვე გაიგებდით, ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაგვესხა. ფრონტზე მივდივარ. დარდს ნუ მიეცემით, მტერს არ ვაპატიებთ დანაშაულს, დედა-სამშობლოს საკეთილდღეოდ სიცოცხლეს არ დავზოგავთ, ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და მტერს მაინც ვერ გავუსტეხავთ. ჩვენ გავიმარჯვებთ და თუ ვინაცობაა ბრძოლაში დავეცით, ჩვენი სახელი უკვალოდ არ დაიკარგება, ვეცდებით არ შევარცხვინოთ ჩვენი ქვეყანა, რათა ომის შემდეგ ჩვენმა შვილებმა ზიზღით არ გვახსენონ...

გიგანტურ ფრონტზე უკანასკნელმა ზარბაზნებმა დაიქუხეს. დამთავრდა ომი. ნაომარი ვაჟკაცები ოჯახებს დაუბრუნდნენ. მაგრამ ამაოდ ელოდნენ სიმონს მშობლები პატარა დიხჩოში. მოხუცებს თვალები გამოეღამოათ გზის აქრაში, მხოლოდ ივანე დაბრუნდა საბრძოლო მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული, სიმონი კი არ ჩანდა. შეუხებულმა მშობლებმა შეკითხვა გაუგზავნეს მოსკოვს. მოვიდა პასუხი, თქვენი შვილი უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

მაშინ კი ამოიკვნესა თორელმა:

— ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს, ეს ბიჭი იყო და არა ქალი, ისე ნაზად და ლამაზად ცეკვავდა ბიჭებთან.

— მე რომ გამათხოვეს ოცდასამი წლის ვიყავი (სიმონზე ორი წლით უფროსია), სიმონი მაშინ ჯარში იყო, ორჯერ ჩამოვიდა შვებულებით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ერთხელ ზამთარში აეკლო დგნალზე, დაებარებინა, ტასოს უთხარით დიხჩოში მივდივარ და მნახოსო. იქ ჩემი პატარა სანდრო მყავდა, ისე შეჩვეოდა ბიძას, რომ მაზარიდან ხელს არ უშვებდა. იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა და მამაჩემმა თურმე ბანი გადაწმინდა. სიმონი და სანდრო იმ ბანიდან გასცქეროდნენ არაგვის ხეობასა. დადგა სიმონის წასვლის დრო, ბავშვი კი არ შორდება, სულ ეხუტება ბიძასა. მერე, სანდროს რომ ჩაეძინა, სიმონი ჩუმად წასულიყო სახლიდან და ბაწზე თოვლში მისი ნაკვალევი დარჩენილიყო. სანდრომ ბევრი იტირა, ბიძა რომ ვეღარ ნახა და მისი ნაკვალევი არაგვის არ წაეწმენინა, მანამ მზემ არ დაადნო, ბავშვი

ბეირის ნაკვალევზე

აი როგორი იყო სიმონ წიკლაური ჭაბუკობაში

შვილის ორმაგი სიკვდილი როგორ დაეჯერო. ომს სიკეთე და სიხარული რომ არ მოეკვლა, ვინ არ იცის. ზოგი კვდება და ზოგი რჩება. ჩემი შვილი მეთაური კაცი იყო. თუ სიკვდილი ეწერა, ასე უსახელოდ როგორ დაიკარგა? არა, შვილო, მე მჯერა შენი, შენ ხომ გვწერდი, სამშობლოს არ შევარცხვენთ, ჩვენი კვალი არ დაიკარგებაო.

ისე წავიდნენ შავეთში სიმონის შშობლები, რომ საყვარელი შვილის გმირობის ამბავი არ გაუგიათ.

სამაგიეროდ დარჩნენ თორელიანთ ოჯახის წევრები, გამრავლდნენ და კიდევაც გამრავლდებიან წიკლაურები საქართველოს მთასა და ბარში.

ამასწინათ რედაქციის დავალებით, ვესტუმრე სიმონის დებსა და ძმას, ვიყავი სხვებთანაც, რომლებიც ახლოს იცნობდნენ კაცს, რომლის სახელი ლეგენდად იქცა. პირველად დგნალში ტასო წიკლაურს ვეწვიეთ, ვიწრო ხეობა ავიარეთ და ფერდობზე გადმომდგარ ორსართულიან სახლს მივაშურეთ, ღიმილით შეგვხვდა დისახლისი, სახლში შეგვიძღვა. ვუთხარით მისვლის მიზეზი, ჩემი მეგზური სერგო წიკლაური ამ ოჯახს ნათესავად ეკუთვნის, და პატარა პურმარილიც მოგვართვეს. ტასოს მეუღლე, სამოცდაჩვიდმეტი წლის სესხა ცხვარში წასულა: და უთქვამს: მე თუ ცხვრის სუნი არ მიღიტნეს, ვერ გავძლებო, — ტასომ გაიხსენა ბედნიერი ბავშვობა, როცა და-ძმებთან ერთად უდარდელად დარბოდა დიხრის ტყესა და მთებში. სიმონი ტანლეგრწამა, მაღალი და ლამაზი ბიჭი იყოო, — განაგრძო მან, — მარდი და მოუსვენარი გახლდათ, უშიშარი და ღონიერი, ერთ წუთში ხის კენწეროზე იყო, მთელი დღე იმის ფიქი არ დადგებოდა. ერთხელ, მახსოვს, სოფლის ბავშვებმა ლხინი გავმართეთ და სიმონი ქალის ტანსაცმელში გამოვაწყეთ. ვერავინ ვერ მიხვდა, რომ ის ბიჭი იყო და არა ქალი, ისე ნაზად და ლამაზად ცეკვავდა ბიჭებთან.

— ეს ბიჭი ალბათ ბედნიერ ბავშვობას ატარებდა, ბევრ ბავშვს ეცოდინებოდა, ბევრ ბავშვს ეტირებოდა, ბევრ ბავშვს ეცინებოდა, ბევრ ბავშვს ეტანჯებოდა, ბევრ ბავშვს ეტანჯებოდა, ბევრ ბავშვს ეტანჯ